LEADx Change ახალგაზრდა ლიდერებისთვის შექმნილი გლობალური სასწავლო პროგრამაა, რომელიც ტაფტის ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლის, ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტისა (IWPR) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მხარდაჭერის ფარგლებში იმართება.

პროგრამის ფარგლებში **1-5 ივლისს** გაიმართება მასტერკლასები, რომელიც ჩატარდება თბილისში, **ტექნოპარკში.** პროექტი შედგება ორი ნაწილისგან: პირველი არის LEADX (1-4 ივლისი), რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 60 ადამიანი. მეორე ნაწილია - SIMULEX (4-5 ივლისი), რომელშიც ჩაერთვება 130 ადამიანი.

ღონისძიებისთვის ცხადდება ტენდერი ტრანსპორტით მომსახურებაზე.

1. ზოგადი ინფორმაცია

დეტალური ინფორმაცია ტრანსპორტის ტიპთან, მგზავრების რაოდენობასთან და თარიღებთან დაკავშირებით შეგიძიათ იხილოთ დანართში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მიმწოდებელი აირჩევა მომსახურების ხარისხის, საფასურის, გაუქმების პირობების მოქნილობისა და გადახდის გრაფიკის მიხედვით.

2. შეთავაზებების (ოფერების) გაგზავნის ბოლო ვადა

შეთავაზება უნდა გაკეთდეს იმეილის საშუალებით, არაუგვიანეს 2019 წლის 11 ივნისისა. დაგვიანებულ შეთავაზებებს სურვილისამებრ განიხილავს ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR). თქვენი შეთავაზება (დანართი 1-ის შესაბამისად) ხელმოწერილი და დასკანერებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: eka@iwpr.net

3. პირობები

შეთავაზებები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დანართში მოთხოვნილი სერვისების მაღალ დონეზე შესრულების შესაძლებლობა;
- განსაზღვრულ დროსა და თარიღებში მომსახურების გაწევის შესაძლებლობა.

4. მოლაპარაკებები

შეთავაზებების მიღების შემდეგ, ხელშეკრულების დადებამდე, IWPR-ს შეუძლია დამატებითი მოლაპარაკებების წარმოება (სერვისთან დაკავშირებულ საკითხებზე) შესაძლო მიმწოდებელთან.

5. გადახდის პირობები

შერჩეულ მიმწოდებელთან გაფორმდება მომსახურების ან სხვა ტიპის ხელშეკრულება. მოლაპარაკების შედეგად მიღწეული სერვისის საბოლოო თანხა გადაირიცხება მიმწოდებლის შესაბამის საბანკო ანგარიშზე (რომელიც მითითებული იქნება შესაბამის ხელშეკრულებაში/ინვოისში).

შენიშვნა:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ IWPR არ არის გათავისუფლებული დამატებითი ღირებულების გადასახადისან (დღგ). **შესაბამისად, მომსახურების თანხები მოწოდებული უნდა იყოს დღგ-ს ჩათვლით.**